ოდონტოლოგიის დეპარტამენტი

პროფესორი მარინა მამალაძე
დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ასოცირებული პროფესორი ნინო ჭიპაშვილი

ასოცირებული პროფესორი ნინო კორსანტია

ასოცირებული პროფესორი ლია სანოძე

ოდონტოლოგიის დეპარტამენტი

ასოცირებული პროფესორი ნათია ნიჟარაძე

ასისტენტ-პროფესორი მაია შანიძე



ასისტენტ-პროფესორი ეკატერინე ბეშკენაძე

ლაბორანტი - ნინო სვანიშვილი

ოდონტოლოგიის დეპარტამენტი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოდონტოლოგიის დეპარტამენტი 1922 წელს დაარსებული კათედრის, „სტომატო-ოდონტოლოგიის დოცენტურის“ , ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელია.

ოდონტოლოგიის დეპარტამენტის წინამორბედი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის, 1992 წლიდან კი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თერაპიული სტომატოლოგიის კათედრაა, რომლის ბაზაზეც 2009 წელს ორი დეპარტამენტი - ოდონტოლოგიისა და პაროდონტის და პირის ღრუს ლორწოვანის დაავადებათა დეპარტამენტები ჩამოყალიბდა.

ოდონტოლოგიის დეპარტამენტში სტუდენტთა სწავლა-სწავლების პროცესი 5 სემესტრის მანძილზე (მე-3, მე-4, მე-6, მე-7 და მე-10) მიმდინარეობს. სასწავლო კურსის ძირითადი მიზანი კბილთა განვითარებისა და აგებულების შესწავლა, მათი დაავადებებისა და დაზიანებების ამოცნობა, მკურნალობა, პრევენციის გზების დასახვა და ანატომიურ-ფიზიოლოგიური პარამეტრების აღდგენაა. კბილთა რესტავრაცია და კვალიფიციური ენდოდონტიური მკურნალობა თანამედროვე ტიპის დანადგარების, აპარატურის, ინსტრუმენტების გამოყენებით, ახალი ტექნოლოგიების და სტომატოლოგიური მასალათმცოდნეობის შესწავლით მიიღწევა.

ოდონტოლოგიის დეპარტამენტში სწავლების პროცესი თსსუ აპოლონ ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიის კლინიკის კარგად აღჭურვილ წინაკლინიკურ, საფანტომო და კლინიკურ ბაზებზე ხორციელდება. მე-3 და მე-4 სემესტრის სტუდენტებს საშუალება ეძლევათ, რომ პრაქტიკული უნარები , რაც ესოდენ გადამწყვეტია სტომატოლოგის პროფესიაში აითვისონ, გაიღრმავონ და განამტკიცონ თანამედროვე სიმულატორებზე, წინაკლინიკურ სტომატოლოგიურ დანადგარებსა და ფანტომ-მულაჟებზე.

ოდონტოლოგიის დეპარტამენტი

უახლესი თაობის სტომატოლოგიური ტრენაჟორი „Nissin Simodont Dental Trainer" დეპარტამენტის სიამაყეა. სწორედ მისი საშუალებით იხვეწება სტუდენტის მიერ პირის ღრუში მანევრირების ტექნიკა, ხოლო საფანტომო კურსზე მიღებული ცოდნა და უნარები (თეორიული და პრაქტიკული) მე-3 და მე-4 სემესტრის ბოლოს ობიექტურად სტრუქტურირებულ პრაქტიკულ გამოცდაზე (OSPE) ფასდება.

მე-6, მე-7 და მე-10 სემესტრის სტუდენტებს საშუალება ეძლევათ წინაკლინიკურ ეტაპზე მიღებული ცოდნა უკვე კლინიკურ პრაქტიკაში გამოიყენონ. უნდა აღინიშნოს, რომ დეპარტამენტის კლინიკური ბაზა 2024 წელს სრულიად განახლდა და აღიჭურვა ახალი, თანამედროვე სტომატოლოგიური დანადგარებით. სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან თანამედროვე საბჟენ-სარესტავრაციო, თუ ენდოდონტიური მკურნალობისთვის აუცილებელი მასალებით, თანამედროვე აპარატურით, ინსტრუმენტებითა და ინვენტარით, რაც საშუალებას აძლევთ, თავად მართონ პაციენტთა მკურნალობის პროცესი , რა თქმა უნდა პროფესორ-მასწავლებელთა მეთვალყურეობის ქვეშ.

სტომატოლოგიის ფაკულტეტზე ოდონტოლოგიის დეპარტამენტში მე-6 და მე-7 სემესტრის ბოლოს სტუდენტთა აკადემიური მიღწევები ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდით (OSCE) ფასდება. მე-10 სემესტრის ბოლოს კი კომუნიკაციური უნარების კურსის გავლის შემდეგ, სტუდენტთა ცოდნის შეფასება მოდელირებულ პაციენტებთან სხვადასხვა კლინიკური შემთხვევის განხილვით და კომუნიკაციური უნარების ერთობლიობის შეფასებით ხდება.

ოდონტოლოგიის დეპარტამენტი ამაყობს ჩვენს ქვეყანაში კბილთა რესტავრაციაში პირველი სტუდენტური ჩემპიონატის ჩატარების ტრადიციით. გამარჯვებულ სტუდენტს საშუალება ეძლევა , შემდგომში იტალიაში საერთაშორისო ჩემპიონატში მიიღოს მონაწილეობა.
ოდონტოლოგიის დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის უმრავლესობა სტომატოლოგთა საერთაშორისო კოლეგიის (ICD) წევრია, ხოლო დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფ. მარინა მამალაძე, რომელიც 2013 წელს ამ ორგანიზაციის პირველი ქართველი წევრი გახდა , 2023 წლის 2 დეკემბერს არჩეულ იქნა ახლად ფორმირებული, მე-16 სექტორის (დისტრიქტის) რეგენტად. მას დიდი წვლილი მიუძღვის სტომატოლოგთა საერთაშორისო კოლეგიის ევროპის სექციაში საქართველოს , როგორც დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულის ჩამოყალიბებაში.

ოდონტოლოგიის დეპარტამენტი პირველია თსსუ-ში, სადაც დაინერგა „ტუტორიუმი" , როგორც სტუდენტის მოტივირებისა და სასწავლო პროცესში ჩართულობის საინტერესო და შეიძლება ითქვას, სახალისო მეთოდი. საუბარია მე-10 სემესტრის სტუდენტებზე, რომლებიც ნებაყოფლობით ჩაერთვებიან მათზე უმცროსი- მე-6 და მე-7 სემესტრის სტუდენტთა სასწავლო პროცესში- ასისტირებას გაუწევენ პროფესორ-მასწავლებლებს და კურაციის განმავლობაში, რამდენიმე საათით თვითონაც გახდებიან „მასწავლებლები". უნდა აღინიშნოს, რომ ტუტორიუმი დიდ ინტერესს და მონდომებას იწვევს სტუდენტთა შორის.

2022 წლიდან ოდონტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელის და წევრების აქტიური ჩართულობით, თსსუ აპოლონ ურუშაძის სტომატოლოგიის კლინიკის ბაზაზე, მე-10 სემესტრის სტუდენტებისთვის სწავლების დამასრულებელ ეტაპზე ინტეგრირებული ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE) ტარდება, რომელიც 17 სადგურს მოიცავს. სადგურებზე სტუდენტები სტომატოლოგიის ფაკულტეტზე სწავლის 10 სემესტრის განმავლობაში პროფილურ საგნებში დაუფლებული პრაქტიკული, მანუალური თუ ვერბალური ცოდნის დემონსტრირებას ახდენენ.

ოდონტოლოგიის დეპარტამენტი

ოდონტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფ. მარინა მამალაძე;
ასოცირებული პროფესორები: ნინო ჭიპაშვილი, ნინო კორსანტია, ლია სანოძე, ნათია ნიჟარაძე;
ასისტენტ-პროფესორები: მაია შანიძე, ეკატერინე ბეშკენაძე;
ლაბორანტი: ნინო სვანიშვილი (თსსუ-ის დოქტორანტი);
მოწვეული მასწავლებლები: ნინო სვანიშვილი, მანანა უსტიაშვილი, თეა ჯანჯალაშვილი, თსსუ აპ. ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკის ექიმები - ჯონდო ფოცხვერაშვილი, ლიკა მინაშვილი, ლია ჩხეიძე, გვანცა მუხიგულაშვილი, დოდო გოგუა, ირაკლი გერგაია.

ოდონტოლოგიის დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის ავტორობით მომზადებულია 1 ძირითადი და 3 დამხმარე სახელმძღვანელო.